გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულღერივი სტრიქონი რვა შაური.

1877—1891 პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი 1877—1891

კნეინა მარიამ ზაქარიას ასული ერისთავისა (მეუღლე) და კნეინა მართა დავითის ასული ერისთავისა (დედა) აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და პატივისმცემელთ, რომ 10 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, კალოუბნის ტაძარში გარდახდილ იქმნება მოსახსენებელი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **თავად დავით გიორგის ძის ერისთავისა**

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების

**ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში**

17 ოქტომბრის მაგიერ ამ სასწავლებელში შესვლის მსურველთა გამოცდა დაიწყება 19 ოქტომბერს.

არზისა და თხოვნის მირთმევა ყოველ დღე შეიძლება, კვირა-უქმე დღეებს გარდა. (1—1)

## ახალი ამბავი

*** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე სამშაბათს, ღამის თერთმეტს საათზე, ტფილისში ჩამობრძანდა. რკინის გზის სადგურზე მოელოდდნენ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი, ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ—ძე შერვაშიძე, ტფილისის პოლიციმეისტერი ლ. პ—ძე მასტიცკი და სხვ. სწორედ 11 საათსა და 14 წუთზე მოვიდა სამეფო მატარებელი, რომელშიაც ბრძანდებოდა მისი უმაღლესობა. მისს უმაღლესობას მშვიდობით მობრძანება მიულოცეს. სამეფო მატარებელი ხუთის ვაგონიდგან შესდგებოდა. ერთში მისი უმაღლესობა ბრძანდებოდა, მეორე და მესამე ვაგონში მის უმაღლესობის ამალა, მეოთხეში—ჯარის კაცნი, რომელნიც მისს უმაღლესობასთან იყვნენ სანადიროდ ყარაიაზში და მეხუთე ვაგონში-კი მოკლული გარეული ღორები ეწყო. „ვოკზალიდამ“ მისი უმაღლესობა „ლონდონის“ სასტუმროში გაემგზავრა გენერალ გრაფ ტატიშჩევისა, ტფილისის გუბერნატორისა და ამალითურთ.

მეორე დღეს, ე. ი. ამ თვის 9, დილით საგანგებო მატარებლით ტფილისში ჩამობრძანდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე.

გუშინვე მათ იმპერატორებით უმაღლესობათ ინებეს ტფილისში სხვადა-სხვა დიდ-კაცობის ნახვა.

დღეს მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი ბორჯომში გაემგზავრებიან. მათს უმაღლესობას კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი და ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ—ძე შერვაშიძე გააცილებენ ბორჯომამდე, სადაც რამდენიმე დღე დარჩებიან.

*** ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ მოგვივიდა კიდევ სამი მანეთი ბ-ნ იოსებ ფანცულიასაგან. სამი მანეთი უკვე გვქონდა და ამიანად შესდგა 6 მან.

*** საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის უმთავრესი კონტროლიორი ბ-ნი სიმეონოვსკი გუშინ ტფილისში ჩამოვიდა.

*** განჯის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი თავ. ა. დ—ძე ნაკაშიძე ტფილისში ჩამოვიდა.

*** ტფილისის თეატრში სამშაბათს დაიწყება ოპერების წარმოდგენა. პირველად წარმოადგენენ „ფაუსტ“-ს.

*** წყალში ჩავარდნილ კაცის დასახსნელი მანქანა, გამოიგონილი მღვდელ ორბელიანცის მიერ, რომელსაც კატორგა აქვს გადაწყვეტილი, ამას წინად გამოუცდია წყალში ჩავარდნილთ გადამრჩენ საზოგადოების მმართველობის წევრს ე. ი. დოლანოვს და იმ აზრს დასდგომია, რომ ეს მანქანა გამოსადეგია ამ საქმისათვისაო.

*** გორი: დღეს, ოქტომბრის 5-ს, დილით, გორის მაზრის სამმართველოში ურმით მოიტანეს თივაში გახვეული კაცი, რომელიც საზარელი სანახავი იყო. ურემს თან მოჰყვა ხუთი ჭირისუფალი კაცი. ისე ჰქონდა სახე აბურთებული ამ კაცს, რომ პატრონიც ველარ იცნობდა. გარეშე ხალხი ბევრი მოაწყდა ამ საზარელს სანახავსა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ იგი იყო იმერელი ა. თავზარაშვილი. როგორც ამბობენ, ეს თავზარაშვილი, მოსამსახურედ ყოფილა კ. ა—თან. კ. ა—ს გაუგზავნია იმ მამულების შემოსავლის შესაკრებად, რომელიც წრეულს, 5 სექტემბერს, გაიყიდა და შეისყიდა აზნაურის ქალმა, გვარად ხანდუკელმა. როდესაც თავზარაშვილმა გამოიდო თურმე თავი, არ ანებებდა ნაყიდს ❀ უნდოდა მყიდველი განედევნა, ქალის ძმამ წაართვა ხმალხანჯალი, წააქცია ❀ საშინლად სცემა. ასე ამბობენ, მაგრამ ვინ იცის, მართალია-კი.

*** სამეგრელო: ს. ნოჯიხევში ერთი უბედურება დატრიალდა აგვისტოს მიწურულში. ერთს ქალს, ჯორჯიკიას მეუღლეს, ხარმა, რომელიც ურემში იყო შებმული, რქები ამოჰკრა მუცელში ისე მაგრად, რომ საწყალმა იმ წამსვე სული განუტევა.

*** ქ. სიღნაღი: 7 ოქტომბერი. დაგვიდგა შემოდგომა და გაგვიიაფდა ყოველი სანოვაგე, მაგრამ ლამის თითქმის ამოგვაშხამოს ეს გემრიელი სინოყივრე დაჟინიანებულმა და აუფახებელმა წვიმებმა. ყოველს ცისმარე დღესა სწვიმს და ამ გადაუფახებელმა სიცივე-წვიმებმა შეშა ძალიან გააძვირა. ერთ ვირის საპალნეს, რომელშიაც ოციოდე თითო მტკაველი შეშის ღერია, 30, 35 და 40 კაპ. ნაკლებ ვერ იშოვის მსურველი. გავიდა ენკენისთვე და გამხიარულდა ქალაქი სიღნაღიც. თითქმის ყოველს ქუჩაში გაისმის სხვა-და-სხვა საამური სიმღერა. სიღნაღში მოწვეულია დროებით რამდენიმე ასი ყმაწვილი კაცი ჯარში გასაწურთნად და აგრეთვე აქვე ჩამოვიდა ვადა შესრულებული ჯარის ხალხი სამხედრო უფროსის სამმართველოდგან ბილეთების მისაღებად. აი ამათი მხიარული სიმღერები მოისმოდა ყოველ დღე. ესენი ქ. თელავისკენ გაისტუმრეს 27 ენკენისთვეს.

*** იქიდამვე: ჩვენში მშვენიერი ღვინის მოსავალი მოვიდა, მაგრამ წვიმებმა ძალიან შეგვაწუხა ❀ წაახდინა. აგერ დღეს 7 ოქტომბერია და თითქმის ნახევარი ზვრები დასაკრეფია. ბევრს მოანახვინა მრუდე ვაზებმა მამა-პაპის დარჩომილს გარდა, სხვაქვევრ-ჰურჭელიც. დღეს აქეთ ჰფასობს ღვინო საპალნე 40 მანეთიდგან 100 მანეთამდე. ამ გადაუფახებელ წვიმებისაგან ხალხი მთლად უხნავ-უთესი რჩება, რის გამოც ძლიერ შეწუხებულია და შეჰყურებს ცას.

სოფლების პურის მაღაზიებში ძველი პური, რომელსაც დღემდე სინესტე და თაგვი აოხრებდა, ეხლა ჩვენის პატივცემულ უფროსის მეცადინეობით, ისყიდება და ფული შეაქვთ შესანახად, სიღნაღის ხაზინაში. როგორც ამბობენ, საკმაოდ ბლომად მოგროვილა ფული.

*** სამეგრელო: აქ ზოგიერთს საზოგადოებაში შემოღებულია ქურდობის საწინააღმდეგოდ ხევის თაობა, როგორც ს. ხეთაში (ზუგდიდის მაზრა), მაგრამ ქურდობას მაინც არა ეშველა-რა; აი მაგალითად, ს. ხეთაში ამ თვის დამდეგს ბ-ნს ისლამ კობახიძეს ცხენი მოჰპარეს, მაგრამ ქურდი ვინ იყო, ის მხოლოდ ალლაჰმა უწყის. ბ-ნი კობახიძეკი შორს არ წავიდა ქურდის საძებნელად, იქვე თავისი მოგვარე-თანაძმას, მეზობელს, გუდუ შარვაშიძეს კობახიძეს ჩაჰჭიდა ხელი, ეს არის ჩემი დამქცევი-დამღუპავიო. ეს საქმე ეხლა გამოძიებაშია და ვნახოთ, რა აღმოჩნდება.

*** ბათუმი. 5 ოქტომბერს ღამეს აქ დაიწვა იალქნებიანი გემი, რომელზედაც 10,000 ფუთი ნავთი იყო ბოჩკებით. ცეცხლი საშინლად გაძლიერდა.

ხმა დადის, რომ ამავე ღამეს ქობულეთში დიდი სისხლის ღვრა მომხდარა და ამ სისხლის ღვრას 20-დე ადამიანი შეუწირავს. ამ საქმის გარემოებანი დაწვრილებით ჯერ არავინ იცის („Нов. Обозр.“)

*** გაზ. „Нов. Обоз.“ ამბობს, რომ აბრეშუმის სადგური „მუშტაიდს“ ცოტ-ცოტა მიწას აკლებს და ისაკუთრებს. ამას წინად კიდევ საათზედ მიიზომა მიწა. საინტერესოა, ვიცოდეთ, თუ ასე ცოტ-ცოტა დააკლდა მუშტაიდის ბაღს, რაღა დარჩება. თუმცა-კი ისიც სათქმელია, რომ თუ პაწია ჰიებმა კავკასიის ერთი ნავთსადგური გამოხრეს, საკვირველი არ არის, რომ აბრეშუმის ჭიებმა მთელი ბაღი შესჭამონო.

*** გაზ. „Тиф. Лист.“-ი ამბობს, ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმაა, რომ ერთმა დალაქმა ტფილისის ერთის მცხოვრებლის შვილს ყვავილის მაგიერ ავი სენი—სიფილისი აუცრაო. ბცრის მეოთხე დღეს ყმა-

## ფელეტონი

### გაგირთ მგრეხლის ქალი

(ისტორიული მოთხრობა ფელიქს ლილლიასი)

I

წარსულ საუკუნის მეორმოცე წელიწადებში პარიჟში, დე-ლია ფერრონნერის ქუჩაზედ, სახლობით სცხოვრობდა გაკეთებული და პატივცემული თოკების მგრეხელი ხელოსანი, გეორგ დიუვალი. ამ მოხუცებულს კაცს სახლობაში ჰყავდა: ცოლი, ერთი ვაჟიშვილი და ერთიც ქალიშვილი, რომელსაც სახელად მარიანა ეწოდებოდა. როგორც მოგვითხრობენ თანამედროვენი, მარიანა საუცხოვო სილამაზისა იყო და სწორედ ეს სილამაზე გადაექცა უბედურების პირველ მიზეზად ამ ახალგაზდა ქალს, რადგანაც ყურადღება მიიქცია ძლიერისა და შეძლებულის კაცისა, რომელიც არას დროს და არაფერს შეეპუებოდა, თუ თავის ჟინიანის ხასიათის დაკმაყოფილება მოისურვებდა.

ეს კაცი იყო არმან დე-ფრონზაკი, წარჩინებულის გვარის უღირსი შტო. ფრონზაკის მამა ცნობილი ჰერცოგი რიშელიე იყო, მაგრამ ამას არც ერთი მამის ღირსებათაგანი არ გამოჰყოლია, გარეგანი შეხედულობის მეტი.

ერთხელ ფრონზაკი ვერსალიდამ პარიჟში მოვიდა ფულის სასესხებლად. თუმცა დიდი შემოსავალი ჰქონდა მამულიდგან და კარგს ჯამაგირსაც იღებდა თანამდებობისას, მაგრამ უანგარიშოდ ჰხარჯავდა ფულს და საშინლად უყვარდა ქალალდის თამაშობა, ამიტომ ყოველთვის ვალში იყო და ხშირად სესხულობდა ხოლმე ფულს.

პარიჟიდამ რომ დაბრუნდა უკან, ფრონზაკმა დე-ლია-ფერრონნერის ქუჩაზედ გაიარა და რამდენსამე წამს შეაყენა ეტლი, რომ ხალხს გაევლო, რომელიც მიცვალებულს მისდევდა. ამ დროს თვალი შეასწრო იმ უბნის სიამპარტავნეს, მარიანას, რომელიც გამოჰქიმული იდგა თავის მამის სახლის გაღებულს კარებში და მიმავალს ხალხს უყურებდა.

დაინახა თუ არა ფრონზაკმა ეს უმშვენიერესი ქალი, გული ჩასწყდა და თვალი ზედ შერჩა, რადგანაც იმისთანა ლამაზი ქალი არას დროს არ ენახა—არც ხელმწიფის სასახლეში, არც თეატრსა და არც სხვა ალაგას, სადაც-კი თავს იყრიდა მთელის პარიჟის წარჩინებული საზოგადოება.

მარიანა უძრავად იდგა და უყურებდა იმ ყვავილებსა და თაიგულებს, რომლებითაც კუბო იყო მოფენილი. ყურადღება არ მიაქცია მშვენიერის გერბებით მოკაზმულს ეტლს, საიდგანაც ფრონზაკი თვალს არ აშორებდა და ჰსინჯავდა. როდესაც მიცვალებული გაატარეს და ხალხი ქუჩის კუთხეს მიეფარა, მარიანა საჩქაროდ შევიდა სახლში, რომელსაც ქუჩისკენ ხუთი ფანჯარა ჰქონდა. ერთს ფანჯარაში გამოკრული იყო შემდეგი განცხადება: „აქ ქირით იძლევა ორი მოწყობილი ოთახი“.

ფრონზაკმა მუშტრის თვალით გადაათვალიერა ეს მშვენიერი სახლი; დადგა ფანჯრების წინ, საიდგანაც სხვა-და-სხვა ნაირი გაკეთებული თოკები სჩანდა, წაიკითხა განცხადება და ისევ თავისს გზას გაუდგა.

რაწამს მივიდა ვერსალში და შევიდა თავისს მშვენიერს სახლში, უბძანა, რომ დაეძახნათ მის მოურავ ურბენისთვის, რომელიც ხანში შესული კაცი იყო.

მოურავს შემოსვლისათანავე, ფრონზაკმა უთხრა:

— დიდად უბედური ვარ, რომ ფული ვერ ვიშოვნე, პერეიამ 20 ათასი ფრანკი მომცა და დამარწმუნა, რომ ეხლა ამაზედ მეტის მოცემა არ შემიძლიანო. მაშ რა ვქნათ, შენ რას მირჩევ?

— არ ვიცი, თქვენო ბრწყინვალებავ! ყველგან ვალი გვაქვს, სასესხებელი აღარსად არის და დიდს თამასუქებს-კი ვაღა უთავდებათ.

— ერთის სიტყვით, უნდა იპოვნო რამ საშუალება, რომ მოვალეებმა დაგვაცალონ.

— კარგი, მაგრამ ცოტა ხომ მაინც უნდა მივსცეთ მოვალეებს.

— ეხლა არაფრის მიცემა არ შემიძლიანო! უპასუხა ჰერცოგმა: ამ ცოტა ფულიდგანაო, აჩვენა ქისა, რომელიც წინ ედო, ქალალდის ვალი უნდა მივსცე გრაფ სიურვილიეს და დანარჩენი წვრიმალ სახარჯოდ მინდა.

— მაშ კიდევ უნდა დაგვაცალონ? ჰკითხა მოურავმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვილი სულ ერთიანად გაყვითლდა თურმე, ხელებზედ მუწუკები დააყარა და სხ. ეს შემთხვევა აშკარად ამტკიცებს, რომ დიდად უნდა გაფრთხილდნენ მშობლები, რომელნიც ხშირად მიჰმართავენ ხოლმე უვიცს დალაქებს და თავისის შვილების ჯანმრთელობას იმათ ანდობენო.

⁂ ამ თვის 7 პოლიციის პირველს ნაწილში შეიპყრეს აზნაური ალექსანდრე ბოიკო, რომელმაც რკინის გზის კონტროლიორის მეუღლეს ანნა ილინისას ბრილიანტის ბეჭედი მოჰპარა. ქურდს ბეჭედი ივანოვის გამსესხებელს კასაში დაეგირავებინა. ბეჭედი პატრონსვე დაუბრუნეს.

⁂ ამავე დღეს, ღამის 11 საათზე, ჭავჭავაძეს ქუჩაზე კაპიტან პერვანსის სახლის შესავალს კარებთან იპოვნეს ახლად დაბადებული ბავშვი. ბავშვს ბარათი აღმოაჩნდა, რომელშიაც ქართულად ეწერა: ხუთის თვისაა და მოუნათლავი; კანონიერი შვილია და სილარიბის გამო დავაგდე ქუჩაში. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## ზემო იმერეთსა და რაჭაში მოგზაურობა

ენკენისთვეში „ივერიასა“ და „ნოვ. ობოზ“-ში, ნათქვამი იყო რამდენიმე სიტყვა შესახებ თამარ დედოფლის ეკკლესისა, რაჭაში, კლდე-ხეთქილთან. ვგონებ მეტი არ იქნება, დაწვრილებით მისი გარემოება და ჩემი ცოტა ხნის მოგზაურობა განვუზიარო მკითხველებს.

იქ წასვლა ყველაზედ უფრო მარჯვეა გომის სადგურიდგან. აივლით სოფელს ალს, ჭერათხევს, გადივლით ჯვარზედ, ჩახვალთ ბორიულის დუქნებში, სადაც მგზავრი ისვენებს, და გადახვალთ საჩხერეში. საჩხერიდგან გაივლით ჯრუჭის მონასტრის ძირში და ახვალთ სოფ. ჭქმერში. იქიდგან იქნება ხუთი ვერსის სავალი. მართალია, თუთხმეტი საათის სავალი არის, მაგრამ, ერთს დღეს ვერ მივა კაცი, რადგანაც ცუდი გზებია.

გომის სადგურიდგან ალამდე ქვაფენილია, რომელიც გააკეთა წინანდელმა მაზრის უფროსმა ბ. ალანდარმა. რომ დასცლოდა, იმერეთის მიჯნამდე აკეთებდა. ეს ქვაფენილი მის შემდეგ ისეთს მდგომარეობაშია, რომ გზავრები სხვა გზით სიარულსა რჩევობენ, ხოლო ალიდგან-კი პარაკლისი უნდა ახდევინოთ, წმინდა საიდუმლო მიიღოთ და ისე გაუდგეთ გზას, რადგანაც ყოველს წუთს უნდა მოელოდდეთ, რომ ცხენიც და კაციც გადაცვივდებიან უშველებელს ლაფში ანუ კლდეზედ.

ეს გზა დიდი სასარგებლო და საჭირო გზა არის, რადგანაც მთელი რაჭა, ზემო იმერეთი სულ ამით დაიარება, ამას გარდა, რამდენი მილიონი ფული შავი ქვა გადმოაქვთ ურმებით. მთელს ქართლს რაც ღვინო უნდება, იმასაც ამ გზითვე ვეზიდებით, მაგრამ ვაი ამ ზიდვას: იმერეთის, სამზღვარს რაკი გადმოვცილდებით, ორი ვერსი თავდაღმართია, თვითეულს ურმებს სამს უღელს უბამენ და კიდევ ვერ ჩამოაქვთ ძირს, ისეთი ხრამები და ლაფებია. აღმა ატანაც ხომ შესაძლებელი არ არის, ცალიერი ურემიც ძლივს ააქვთ.

ალაგობრივ რასაც შავს ქვას უდებენ, ნახევარი გზაში ებნევათ, ნახევარსაც სასწორში ჰპარავენ და აბა რაღა უნდა დარჩეთ, მაგრამ მაინც კიდევ არ ეშვებიან ზიდვას, რადგანაც სხვა არსაიდგანა აქვთ გამორჩენა. კარგი გზა რომ ჰქონდეთ, ხომ ერთი ორად გამორჩებიან. ამასთანავე ღარიბი ხალხიც წავა გარდმოსატანად. სრულიად უბრალოა მისი გაკეთება, არ მოუნდებიან ორს თვეს, რუების ამოღების მეტი საჭირო არა არის-რა, ქვის დაყრა არ უნდა, რადგანაც ქვიშა არის და ხე ტყე თუ მოუნდება, ზედვეა; თითონ ხალხი იხვეწება, ნეტავ პატრონი გვყავდეს და გაგვაკეთებინოსო.

ბორიულის დუქნებიდგან რომ გაივლით რვა ვერს, გადაჰხედავთ ზემო იმერეთს, მაგრამ რას ნახავთ, წმინდა მხატვრობასა და არა ბუნებისაგან შემკულსა: სადამდინაც თვალი მიგიწვდებათ, სჩანს მშვენიერი ამწვანებული მთები და მინდვრები, მწვანედ გაფოთლილი ხეები და იმათში გამოჩანს დაფანტულ მეკომურების კრამიტით დახურული სახლები. რაც უნდა ჯავრიანად იყოთ, მაშინვე გულიდგან გადაგეყრებათ, ამისთანა სიმშვენიერეს რომ დაინახავთ. აგერ ჩაივაკებთ და მიადგებით მდინარე ყვირილას. ზედ ხის ხიდია გადადებული. გახვალთ და შეხვალთ საჩხერეთში-პირდაპირ ბაზარში. დასადგომს ალაგს ვერ ნახავთ, თუ არ სადმე დუქნის ოთახსა. ხორაგეულობა და სხვა სავაჭრო თავისს კვალობაზედ არ არის ძვირი, გარშემო თორმეტ კომლამდე თავადი წერეთლები ევროპიულად სცხოვრობენ.

მოუთმენლად მოელიან საჩხერლები რკინის გზას, უხარიანთ რასაკვირველია, უფრო იმისთანა კაცებს, რომელნიც კეთილს ცხოვრებას დაჩვეულნი არიან, უდარდელი შემოსავალი აქვთ და იმ ფიქრში არიან, რომ წელდაუღალავად ჩაბძანდნენ ქუთაისში, აბა იმათ რა დარდი ექნებათ, თუ უკანასკნელი ლუკმა პურა გაუწყდება საწყალს ხალხსს, რომელიც თითო ოროლა გროშს შოულობს შავის ქვის გადატანითა დაიმითი ისტუმრებს ხარჯს, მებატონეს, ერს და ცოლშვილს. ეხლა ესეც მოესპობათ და დარჩებიან სიმინდის ამარად.

რაჭისაკენ გზები დიდი აღმართდაღმართებია, თორემ მშრალი-კია; ტალახი არ იცის, რადგანაც უფრო ქვიანი გზებია. ქალაქამდე იგივე გზა არის, რაც გომიდან საჩხერიდგან.

საჩხერიდგან თუთხმეტს ვერს რომ გაივლით, მაღლა მთის წვერზედ შუაგულს ტყეში, ჯრუჭის მონასტერია, სადაც წინად უცხოვრიათ მიტროპოლიტებს და ეხლა არხიმანდრიტი და ბერები იმყოფებიან. აქ იმარხებიან თავ. წერეთლები. მათგანვე არის აშენებული ეს მონასტრი და დიდი მამულები აქვს შეწირული. ძალიან მდიდარია. ნივთები ბევრი ქონია ძველი. ერთი გასაკვირველი სანახავი ვნახე, ერთის გოჯის ტოლა ოქროს ყდაში, ტყავზედ წვრილად დაწერილი სრული სახარებაა. იტყვით, რუ რა ხელმა დასწერაო, მხოლოდ ეს არის სამწუხარო, რიცხვი არა სწერია, რა წელიწადშია ნაწერი. იქა სთქვეს, რომ განსვენებული დ. ბაქრაძე ბრძანებულა და უთქვამს, მეხუთე საუკუნისა უნდა იყოსო.

აქედან დაიწყება რაჭის გზის აღმართი, რომელიც არის თითქმის სამი საათის სავალი. იმ სიმაღლეზედ უნდა ახვიდეთ, სადაც ხე აღარ იზრდება და მინდორის მეტი არა არის-რა, მაგრამ გზა-კი მოუწყენარია: მშვენიერს ტყეში მიხვალთ, მარჯვნივ თვალ ჩაუწვდენელი ხევია და იქიდგან წყლის ჩხრიალი მოგესმით.

მოვედით განის დუქანში და იმ ღამეს იქ დავრჩით, რადგანაც ღამე სიარული საშიში იყო, რომ ხევში არ გადავცვინულიყავით.

ირაჟრაჟა თუ არა, ექმნებოდა ოთხი საათი, გავუდეგით გზას. ექვსი საათი იყო, რომ სრულად ავედით აღმართსა. მშვენიერი ამწვანებული მთა იყო და გამოჩხრიალებდა უშველებელი წყარო სახელად ცხრა-მთავის წყარო. დავეშვით თავქვე იმ აღმართში. შეგვხვდნენ ბლომად დედაკაცები, შქმერიდან მომავალი ნამგლები ხელში. ვიკითხე, სად მიდიან-მეთქი. ქერების სამკალადაო, მიპასუხეს. დამანახვეს კიდეცა ჯერ კიდევ შემოუსვლელი ქერები და მოუმკელი, ენკენისთვის ოც-და-ორი-კი იყო. თურმე სულ ქალები მუშაობენ და კაცი სახლში, როგორც სტუმარი, ისე მიდის: სულ სხვა ქვეყნებში მუშაობენ. აქ მეკომურები დაფანტულები არ არიან, როგორც იმერეთში, ქართლივით ძალიან ვიწროდ სდგანან ერთმანეთთანა.

რადგანაც ძლიერ შეგვცივდა, ჩვენმა ბელადმა თავისს ნაცნობს გლეხთან მიგვიყვანა, კაცი შინ არ იყო და ერთი ბებერი გამოგვეგება. ჯერკი შეშინდა, ეგონა „პრისტავი“ მოვიდა ასაწერადაო, მერმე რომ იცნო, მაშინვე მიგვიპატიჟა ქვითკირის ოთახში, რომელსაც ყავარი ცხურა. შუაგულს კერაზედ ცეცხლი ენთო და ზედ ეწყო კეცები პურის გამოსაცხობად. შემოვუსხედით ამ ცეცხლსა და საუზმე გავმართეთ, ბებერმაც იქვე ხელად გამოაცხო ქერის პურები და ყველიც მოგვიტანა დიდის ბოდიშით: ჩვენში, ჰიო, ამის მეტი არ იშოვებარაო და დაჯდა ჩვენთან. რომ გაიგო, სადაც მივდიოდით, კარებიდან დაგვანახვა ის კლდე-ხეთქილის მთაცა; ჩემი პატარა შვილი წამოგყვებათ და გიჩვენებთო. ქალი ძალიან გაკვირვებული იყო, როგორ შეიძლო იმ კაცმა იმ კიბის გაკეთება, თუ არა ღმერთის ჩაგონებით და თუ სასწაული არა ნახაო.

ნ. დიასამიძე

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთი

**რუსეთი და ოსმალეთი.** გაზეთმა „Standard“-მა დიდი ამბავი ასტეხა იმის თაობაზე, რომ ოსმალეთმა ნება მისცა რუსეთს დარდანელზე ხომალდების გატარებისა. ამ საქმის თაობაზე ერთი რუსული გაზეთი შემდეგსა სწერს: „აპრილის ნახევარში დარდანელში მივიდა რუსეთის გემი „Нижній Новогородъ“-ი, ციმბირში მიმავალი. გემს საკომერციო დროშა ჰქონდა და ჯარის კაცები მიჰყავდა ციმბირის რკინის გზის გაყვანაზე სამუშაოდ. დარდანელის კომენდანტმა როგორღაც ეჭვით შეჰხედა ამ გემს და შეაჩერა. რუსეთის ელჩმა ნელიდოვმა ამ საქმის თაობაზე ნოტა გაუგზავნა პორტას და თხოულობდა არა თუ გემის გატარების ნებას, არამედ თითქმის იმუქრებოდა კიდეც, თუ ამ გვარად ხელს შეუშლით რუსეთის სავაჭრო გემებს, იძულებულნი შევიქმნებით, სხვა რამ ღონის-ძიებას მივმართოთო. პორტამ გაატარა გემი, მაგრამ სთქვა-კი, რომ ხელშეკრულობის ძალით ნება გვაქვს, საეჭვო გემების გარემოება შევიტყოთ ხოლმეო. ათს დღეს შემდეგ რუსეთის გემს „Кострома“-საც ესეთივე ამბავი დაემართა. ამის გამო ნელიდოვმა მოითხოვა, კომენდანტი სამსახურიდგან დაითხოვეთო, და ჯარიმაც გემის გაჩერებისათვის. საქმე იმით გათავდა, რომ პორტა დასთანხმდა, შემდეგში თავისუფლად გავატარებ რუსეთის სავაჭრო გემებსა, მხოლოდ წინადვე-კი უნდა მაუწყოთ ხოლმე, როცა ან ჯარის კაცები ისხდებიან გემში ან სამხედრო იარაღები გექნებათო. არც ამ გარემოებამ მოსპო უთანხმოება. ივლისის დამლევს დარდანელში მოვიდა რუსეთის გემი „Москва“,-აზიიდგან მომავალი სავაჭრო დროშით. კომენდანტმა ჯარის კაცები შეამჩნია გემზე და გააჩერა, რადგან ნაუწყები არა ჰქონდა-რა პორტასაგან ამის თაობაზე. აღმოჩნდა, რომ რუსეთის საელჩოს მართლა არ შეეტყობინებინა, თუ სავაჭრო გემი გამოივლის ჯარის კაცებითაო. რუსეთის ელჩმა უკმაყოფილება გამოუცხადა ამის თაობაზე, ეგ ხალხი ჯარის კაცები-კი არ არიან, არამედ სათადარიგონი და სამშობლოში მიემგზავრებიანო, თანაც თხოულობდა კომენდანტის დაჯარიმებას და დასჯას. პორტამ ნება მისცა თუ არა ამ გემის გატარებისა, ზედზედვე, 11 აგვისტოს, ამ გვარივე ამბავი სხვა გემს „Кострома“-საც შეემთხვა, თუმცა ეს საქმეც სწორედ ისევე მშვიდობით დამთავრდა, როგორც პირველი.

პირველად 1841 წელს ალეკრძა-

---

— რასაკვირველია, უნდა მოითმინონ! მოთმენას ხომ დაჩვეულები არიან.

რვა დღის შემდეგ შეგვიძლიან დავიხსნათ საჭირო თამასუქები. მაშინ პორტუგალიის ურია კიდევ მომცემს 80 ათასს ლივრს.

— მაინც კიდევ ცოტა იქნება, მიუგო ურბენმა.

— ჰმ... მაშ ისევ უნდა დავაგირაოთ ნიშნები „სულის წმიდისა“. ოც-და-ათს ათასს ფრანკს მომცემენ, რადგანაც დამგირავებელმა კარგად იცის, რომ რადგანაც ხელმწიფე დღე-დღეზედ მოსასვლელია, უეჭველად დავიხსნი. მაშინ როგორ მდგომარეობაში იქნება ჩვენი ხაზინა?

— მაშინ შიში აღარ გვექნება, მოსვენებით ვიქნებით, მიუგო ურბენმა.

— ძალიან კარგი, რაკი საჭირო არ არის ეხლა ფულისთვის წუხილი. ყური დამიგდე, რა გითხრა: „დღეს დიდი ბედნიერება მეღირსა. მთელის საფრანგეთის უმშვენიერესი ქალი ვნახე.

— სადა ჰყავის ეგ საკვირველება, ჰკითხა მოურავმა.

— პარიჟის ერთს მიყრუებულს უბანში, დე —‚ლია—ფერონნერის ქუჩაში. თავისის სილამაზით ის ქალი. კომარლოსა და სხვა ოპერის მოთამაშე ქალებს სჯობია.

— არ შეიძლება, რომ ისიც ოპერისკენ მივიზიდოთ.?

— არ შეიძლება, რადგანაც არა მგონია, რომ იმას ოპერის ხარახოვები მოეწონოს.

— თქვენს ბრწყინვალებას დიურულში აქვს სახლი... მიუგო ურბენმა.

— მერე რაო?

— ჩემის აზრით, იმ ქალის მოტაცება ძნელი არ იქნება.

— მეც-კი ვიფიქრე ეგ, მაგრამ ეს ამბავი დიდს შფოთს მოახდენს და შესაძლებელია საქმემ ცუდად ჩაიაროს. მე ის მანდა, რომ მშვიდობიანად მოვაგვარო ეს საქმე. თოკის დამგრეხის სახლში ქირით იძლევა ორი მოწყობილი ოთახი. ხვალ წადი იქ, აბზევილიელ ბურჟუას გვარი დაირქვი და უთხარი, რომ ვითომ შენის ბიძაშვილისათვის გინდა დაიქირაო ის ოთახები.

— ეხლა-კი მივხვდიო, სთქვა ურბენმა. სხვის სახელი გინდათ დაირქვათ და ისე დასდგეთ იმისს სახლში.

— სწორედ ეგრე მსურს. შენ სტეფანე ლეონარდი მიწოდე სახელად, ვითომ სტუდენტი ვიყო.

— „ეგ ძალიან კარგად მოიფიქრეთ, კარგი აზრია, მაგრამ თქვენი ბრწყინვალება რომ მოიწყენს იმ უბრალო ხალხში!

— სულაც არ მოვიწყენ, იქ დიდს სიამოვნებაში ვიქნები. ჩემი სურვილი ის არის, რომ გავიცნო ახალგაზდა ქალი, რომელსაც თავი უნდა შევაყვარო, მოვხიბლო და ჯვარი დავიწერო.

— ჯვარი დაიწერო? განცვიფრებით ჰკითხა მოურავმა.

— ჩემი არა გესმის-რა, სწორედ სულელი ხარ! როგორ შეიძლება, რომ ჩემისთანა კაცმა თოკის დამგრეხის ქალზედ ჯვარი დაიწეროს? მე ტყუილს ჯვარის წერას ვამბობ.

— ერთის სიტყვით, მშვენიერი აზრია? სთქვა ურბენმა. ნამდვილად მიაღწევთ თქვენს სურვილს! თქვენს ბრწყინვალებას იმისთანა შეხედულობა აქვს, რომ ვინც უნდა იყოს, მოსტყუვდება.

— ეგ მართალია! ტყუილად-კი არა ვარ მარშლის შთამომავლობისაო, სთქვა ჰერცოგმა, რომელიც სიამოვნებით ისინჯავდა თავს სარკეში და იღიმებოდა.

II.

ურბენი წავიდა და ადვილად მოურიგდა ხელოსანს დიუვალს. სადილითა და საუზმით თთვეში ოც-და-ათ ფრანკად დაიჭირა ორივე ოთახი, პირობის წერილითაც შეეკრა და სამის თთვის ქირაც ამ თავით მისცა.

— დე—ფრონზაკი გადმოვიდა თოკის დამგრეხის სახლში და აქ სცხოვრობდა, როგორც მელია საქათმეში.

ეს ახალგაზდა, მშვენიერი და შავეში ჩაცმული სტუდენტი კეთილად და დიდის ნდობით მიიღო უბრალო ხელოსნის სახლობამ. საეჭვო სტუდენტი სახლის პატრონს არწმუნებდა, რომ სამი თთვე უნდა ვისწავლო, შემდეგ ექიმობის მოწმობას მივიღებ და პარიჟიდგან წავალო. თავისის სიტყვების დასამტკიცებლად ოთახში მთელი გროვა სამეცნიერო წიგნებიცა ჰქონდა.

ბაგირთ მგრეხლის შვილი ხილიაირი მალე დაიმეგობრა ახალმა მდგურმა, ყოველს დღეს სახლობაში ტრიალმა ძალიან მოუმართა ხელი, რომ მარიანა დაახლოვებით გაეცნო.

ამას შემდეგ ჰერცოგმა დიდის მოხერხებით დაუწყო ყმაწვილს ქალს არშიყობა, ტრფიალი და ალერსი.

მარიანამ არ იცოდა, რა განზრახვა ჰქონდა იმას გულში, და იმავე ალერსით უგებდა პასუხს.

რამდენისამე ხნის შემდეგ საეჭვო სტუნდენტი დარწმუნებულ იყო, რომ საქმე კარგად მიდიოდა და არ იცოდა, თუ სტყუვდებოდა.

ერთხელ მარტო ორნი დარჩნენ

ლო ევროპის ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებს დარდანელში თავისუფლად გავლა ლონდონის კონვენციის ძალით. ესეთივე პირობა ჩაიწერა 1856 წელსაც პარიჟის ხელშეკრულობაში. 1871 წელს, ლონდონის კონფერენციის დროს, ეს საქმე კვლავ განმეორებულ იქმნა. ხონთქარს ნება მიეცა, თუ საჭიროდ დაინახავდა, გაეტარებინა სამხედრო გემები მოკავშირე სახელმწიფოებისა ომის და მშვიდობიანობის დროსაც, ბოლოს ბერლინის ხელშეკრულობის მე-63 მუხლმა კვლავ დაამტკიცა პარიჟის ხელშეკრულობის ყველა მოუშლელი მუხლი ბ, მაშასადამე, მუხლი დარდანელის შესახებაც. აქედგან ცხადადა სჩანს, რომ პარტის დაუკითხავად და ნებადაურთველად ამჟამად არც ერთს სახელმწიფოს, ნება არა აქვს, სამხედრო გემები გაატაროს დარდანელში.

## ბიბლიოგრაფია

**ЮРИДИЧЕСКІЙ ВѢСТНИКЪ**, *1891 г. № 7 и 8. Вступленіе грузіи въ составъ Россійской имперіи, ст. М. Х.*

საქართველოს წარსული რომ ნაკლებად არის გამორკვეული და რომ მეცნიერებას იმის საკვლევად ჯერჯერობით გულიანად ხელი არ გამოუღია, ამაზე ბევრი ლაპარაკი არცკია საჭირო. არამც თუ დიდის ხნის წარსულზე ითქმის ესა, არამედ გუშინდელს დღეზედაც-კი, სახელდობრ, წარსულის საუკუნის თაობაზე და ამ საუკუნის დასაწყისისაზედაც, როცა საქართველოს სამეფოთა და სამთავროთ თავიანთი პოლიტიკური თვითმყოფელობა დაასრულეს, რუსეთის იმპერიას შეეკედლნენ და შემდეგ სრულიად და ერთიანად შეუერთდნენ. ამ დროის პოლიტიკურის ვითარების შესახებ რუსულს მწერლობასა და ქართულშიაც მეტად შემცდარი აზრი ტრიალებს, რადგანაც აუარებელი და კარგად დაცული მასალა დღემდე თითქმის ხელ-შეუხებელი ძევს. რა თქმა უნდა, ეს საინტერესო და საგულისხმო ხანა ჩვენის ისტორიისა, საკმაოდ გამორკვეული და შესწავლილი რომ იყოს, ცხადად დაგვანახვებდა ჩვენს პოლიტიკურს ვითარებას, ღონეს თუ უღონობას, საქართველოს სვე-ბედის გამგეთა შორის თუ მოკლე მხედველობას და მიზეზს ჩვენის ისტორიის ასე დასრულებისას, და აი, ეს არის იმის მიზეზი, რომ სიხარულით უნდა ველოდებოდეთ იმ დროსა, როცა მეცნიერების ბრწყინვალე შუქი განაბნევს ჯანყსა და ბურუსსა ისტორიისას.

ამიტომაც სასიამოვნო გარემოებად უნდა მივიჩნიოთ ჟურნალ „Юридическій Вѣстникъ“-ში ბ-ნ მ. ხ-ს წერილის დაბეჭდვა, რომელიც შეეხება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის დაწყებას და თან-დათანს განმტკიცებას. ამ წერილში საკმაოდ ბევრი მასალაა მოთავსებული იმ საინტერესო საგნის შესახებ და ერთი დედა-აზრია გატარებული, რის გამოც ნათელსა ჰფენს იმ ურთიერთობას და განწყობილებას და იურიდიული ხასიათიც საქართველოს რუსეთთან დამოკიდებულებისა საკმაოდ ცხადად არის გამორკვეული. ავტორი იწყებს მე-XVI საუკუნის დასასრულიდგან, როცა პირველად დაიდო საძირკველი რუსთ-ქართველთა პოლიტიკურს ურთიერთობას, ხოლო ეგ ურთიერთობა წარსულის საუკუნის ნახევარში ფუჭი სიტყვა ყოფილა, რადგანაც საქართველოს ჭირსა და ლხინში რუსეთი არავითარს მონაწილეობას არ იღებდა. ამ დროიდგან მოკიდებული-კი საქართველოს სვებედის გამგენი უფრო ბეჯითად ეძებენ რუსეთის მფარველობას, რომელიც კიდევაც დამკვიდრდა. ჩვენ აქ არ მოვიხსენიებთ ყველა წვლილს წერილისას, ხოლო შევნიშნავთ, რომ ავტორს გაურჩევია და გაუსინჯავს ყველა ტრაქტატი, დომლითაც საქართველოს სამეფონი და სამთავრონი ეკვრებოდნენ რუსეთს, და კარგა აქვს გარკვეული, თუ როგორ იცვლიდა თანდათან იურიდიულს ფერსა და ხასიათს, როგორ იზრდებოდა და და მტკიცდებოდა რუსთ-ქართველთა ურთიერთობა.

დასასრულ საჭიროდ ვრაცხთ, მოვიხსენიოთ, თუ როგორა ჰყავს ავტორს დახასიათებული სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა. ამ მეფის შესახებ დღემდე ის აზრი ტრიალებს, რომ ვითომ იგი უნიჭო კაცი ყოფილა, პოლიტიკურის ვითარების არა მცოდნე და გაიძვერა, არა შორს მხედველი ადამიანი—ერთის სიტყვით, ცუდი სახელი აქვს დავარდნილი. ბ-ნ მ. ხ—ს აზრით-კი, მეფე სოლომონ მეორე ჰკუით, ხასიათით და მოღვაწეობით მართლა რომ შესანიშნავი კაცი ყოფილა. ამ კაცს აზრადა ჰქონია მთელის სამხრეთ საქართველოს შეერთება და ამ აზრის განსახორციელებლად მხნედ და დაუღალავად ებრძოდა თურმე ყველას, ვინც მისი ხელის შემშლელი იყო. ყველა საქმეში დიდს სამსახურს და ბეჯითობას იჩენდა და თუ რასმე უთმობდა ხოლმე ისეთს მაგარსა და დახელოვნებულს კაცს, როგორიც თავ. ციციანოვი იყო, ისიც მაშინ, როცა მეტი გზა აღარა ჰქონდა და როცა ციციანოვი ხმალზე ხელს გაიკრავდა ხოლმე.

კარგი იქნება მკითხველმა საზოგადოებამ თვითონვე გაიცნოს ბ-ნ მ. ხ—ს წერილი, თუმცა რუსულს დედანში.

კერძო გამოცემა თომა (იგივე ვლადიმერ) ჩიკვაიძისა.

უმაღლესად დამტკიცებული აზრი და წესდებანი სახელმწიფო რჩევისა გამოცემაზე იმ კანონებისა, რომელნიც უჩვენებენ წესს და რიგს რუსეთის სახელმწიფოის (იმპერიის) თავად-აზნაურობის ღირსების საცნობლად იმ პირთა, რომელნიც ეკუთვნიან მაღალს წოდებას მეგრელიის ყოფილის სამთავროისას. ქ. ქუთაისი. ნ. ი. გამრეკელოვის სტამბა, ფასი 25 კაპ.

ეს ახლად დაბეჭდილი პატარა წიგნაკი შეიცავს რუსულსა და ქართულს ენაზე უმაღლესს ბრძანებას იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქმნან ცნობილნი რუსის იმპერიის თავადისა და აზნაურის ღირსებისად სამეგრელოს სამთავროს მაღალ წოდებათა წევრნი. ამ ბრძანების გარდა გამომცემელს და მთარგმნელს წიგნაკის ბოლოს ჩაურთავს ორი სია: ერთი იმ თავადთა და აზნაურთა, რომელთაც სამეგრელოს მთავარ გრიგოლ კაციას ძე დადიანთან ერთად ქვეშევრდომობის ფიცი დაუდვიათ რუსეთის ხელმწიფისათვის, და მეორე—იმ თავადთა და აზნაურთა გვარეულობათა სია, რომელიც მთავრის დავით ლევანის ძის დადიანის ბრძანებით შეუდგენიათ. მართალი უნდა ვსთქვათ, ბ-ნ ჩიკვაიძეს საუცხოო აზრი მოსვლია, რომ განუზრახავს სამეგრელოს თავადთა და აზნაურთ ქართულს ენაზედ მიაწოდოს უმაღლესი ბრძანება. ეს აზრი მით უფრო მოსაწონია, რომ სამეგრელოს თავადთა და აზნაურთ დღემდე საკმაოდ ნათლად არა აქვთ გამორკვეული, თუ რა წესით უნდა ეძიონ და დაამტკიცონ თავიანთი წოდებრივი ღირსება, თუმცა ეგ უმაღლესი ბრძანება წელიწად ნახევარია, რაც გამოიცა და ქართულად ორჯერ იყო ნათარგმნი, ერთხელ „ივერიაში“ და ერთხელაც ცალკე წიგნაკად დაიბეჭდა ბათუმში. ვიმეორებთ, აზრი ბ-ნ თომა ჩიკვაიძისა ფრიად მოსაწონია, ხოლო არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ენა თარგმნისა სრულიადაც ისეთი არ არის, როგორიც საჭირო და სანატრელია. ბ-ნი ჩიკვაიძე წინასიტყვაობაში ბრძანებს, ამ ბრძანების გადათარგმნა იმიტომ განვიზრახეთ, რომ „ივერიის“ ნათარგმნი და ბათუმში გამოცემული წიგნაკი მძიმე ენა-კილოთი არის დაწერილი და გრძელ წინადადებებიანიაო. ჩვენ ჩვენის მხრით „ივერიის“ ნათარგმნისა და ბათუმში დაბეჭდილ წიგნაკის ღირსება-ნაკლულევანებას არ შევეხებით, ხოლო იმასკი შევნიშნავთ, რომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ შემდეგი ანდაზა მოგვაგონა: „ჩემი შენ გითხარ და გული მოგიკალო“. ბ-ნს ჩიკვაიძეს უმაღლესი ბრძანება თითქმის სიტყვა-სიტყვით უთარგმნია რუსულიდგან, რის გამოც თარგმანი მძიმე ენა-კილოთი არის დაწერილი, სავსეა გრძელ-გრძელ პერიოდებით და ამიტომ ქართულის გრამატიკისა და სიტყვა წყობილობისა არა აჩნევია-რა. აბა, მკითხველო, ხელ-მეორედ გადაიკითხეთ ზემოდ მოყვანილი სრული სათაური წიგნაკისა, და იმედი გვაქვს, სრულიად დაგვეთანხმებით, რომ ჩვენი აზრი ბ-ნ ჩიკვაიძის თარგმანის შესახე შემცდარი არ არის. როცა წიგნაკის ყდაზე ამოვიკითხეთ, რომ ბ-ნი თომა ჩიკვაიძე ღებულობს თავისს თავზე თავად-აზნაურობის ღირსების მაძიებელთა საქმის წარმოებას, რომ საბუთების სინამდვილით თარგმნის თავდებია მასწავლებელი პოლიევქტ კვიცარიძეო, ვიფიქრეთ, იქნება ბ-ნს კვიცარიძეს არ გაასინჯვინა გამომცემელმა თავისი წიგნაკი, და თუ ასეა, სწორედ სამწუხაროა.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ფასი წიგნაკისა (25 კაპ.) მეტად დიდია. ასე პატარა წიგნაკი, რომელიც 30-ს გვერდს შეიცავს, ორი-სამის შაურის მეტი არ უნდა ჰღირდეს. ეს წიგნაკი იმდენად საჭიროა და იმდენი გაიყიდება, რომ გამომცემელი, 10—15 კაპ. დაენიშნა, მაინც მოგებაში იქნებოდა.

ჯიბერტი

## წვრილი ამბავი

გამოჩენილ მომღერალ ქალის სარა ბერნარის რწმუნებულს ამ დღეებში ტურის სასამართლოში საჩივარი შეუტანია ტურის ორის მცხოვრებელზედ. ერთს იმას აბრალებს, რომ თავის ცხენისთვის სახელად „სარა ბერნარი დაურქმევია“, მეორეს კიდევ იმას, რომ იმისივე სახელი დაურქმევია ძროხისათვისაო. ამ ძროხას სამეურნეო გამოფენაზედ მედალიც მიუღია თურმე „სიმსუქნისთვის“. სარა ბერნარის რწმუნებული ამტკიცებს თურმე, რომ სახელი და გვარი იმ კაცს ეკუთვნის, ვინც ამ სახელსა და გვარს ატარებს და ამიტომ, ვინც სხვის საკუთარს სახელს თავის ცხენს, ძროხას ან სხვა პირუტყვს დაარქმევს, საკუთრების უფლების დამრღვევიაო. ნეტა როგორ გადასწყვეტს ტურის სასამართლო ამ ახირებულს საჩივარს? რაც შეეხება თითონ სარა ბერნარს, ეს საჩივარი თავისის რწმუნებულისთვის მიუნდვია და თითონკი ავსტრალიაში მიემგზავრება თურმე წარმოდგენების გასამართავად.

— ნიუ-იორკისა და ჩიკაგოდგან სწერენ ინგლისის გაზეთებს, რომ ამერიკაში მცხოვრებს ირლანდიელებს შორის დიდი ხელის მოწერაა გამართული და უნდა ამ ქალაქებში პარნელს ძეგლი აუგონ.

— პარიჟის გაზეთები სწერენ, რომ ქ-ნ ბონემენის სიკვდილს შემდეგ ბულანჟეს ცოლმა წერილი მისწერა და სთხოვა, შემირიგდიო, მაგრამ ბულანჟემ პასუხიც არ აღირსაო.

— პელუზიუმის ეპისკოპოსს ეგვიპტედგან ერთი მუმია გაუგზავნია იტალიის ქალაქ კორტონის მუზეუმისთვის. მუმია ლივორნის ტამოჟნის მოხელეებს დაუჭერიათ და გარდასახადს სთხოვდნენ თურმე. კარანტინის მაგისტრატს სამინისტროსათვის უთხოვნია, რომ ეს მუმია ტამოჟნის გარდასახადისაგან განათავისუფლეთო. მინისტრს დაუდგენია: „რადგანაც მუმიას მართო გამხმარი ხორცი და ტყავი-და აქვს შერჩენილი და არც ხორცი კარგა გასასყიდად, არც ტყავი არაფრის გამოსადეგია და მუმია ბაზარში არ იყიდება, ამიტომ გამინთა-

---

და სტუდენტმა თავისი გული გადუშალა ყმაწვილს ქალს.

თავ-მდაბალმა ქალმა ხუმრობად მიიღო იმის ლაპარაკი და გაიცინა. ყმაწვილი კაცი-კი არწმუნებდა.

— დიდი შემოსავალი მაქვს მამულისა და ამისათვის ნუ ჰკარგავთ ბედნიერებასაო.

მაშინ მარიანამ მტკიცედ გამოუცხადა:

— ბ-ნო ლეონარდ! მადლობელი ვარ პატივისცემისათვის. დიდი ბედნიერებაა, რომ უბრალო ქალს თქვენისთანა ახალგაზდა და მშვენიერი ყმაწვილი კაცი ეყოლება ქმრად, მაგრამ ვსწუხვარ, რომ უარი უნდა გამოგიცხადოთ და არ დაგთანხმდეთ, რადგანაც მე სხვა მიყვარს და იმასაც ვუყვარვარ.

ლეონარდი ძალიან შესწუხდა, როცა ეს სიტყვები გაიგონა და ქალსა ჰკითხა: რას ამბობთ? საქმრო გყავთ და მე მიწუნებთ? არ მინახავს თქვენი საქმრო, სად არის?

— ეხლა აქ არ არის, ჯარის-კაცია მონტმორანში ლიამოტ-გუნდაკურის რაზმისა.

— ჯარის-კაცია?

— დიაღ! სამსახურიდგან დაეთხოვება ექვსის თვის შემდეგ და მაშინ დავიწერთ ჯვარს.

— რა ჰქვიან სახელად იმ ბედნიერს?

— სახელად ჰქვიან ანატოლ მორენი. ამ ორიოდე დღეში რვა დღით დაეთხოვება და ჩვენთან ჩამოვა სტუმრად.

ჰერცოგმა რამდენიმე სიტყვა წაიბუტბუტა, შემდეგ თავაზიანად გამოესალმა ქალს და ოთახიდგან გამოვიდა.

— რა დაღონებული შეხედულობა ჰქონდა, როცა ოთახიდგან გადიოდა, ამბობდა მარიანა: რა საშინლად დაუნაღვლიანდა ის მშვენიერი თვალები, როდესაც ჩემის საქმროს სახელი ვუთხარი. უნდა ვუფრთხილდე ამ ექიმს და დედა ჩემს უნდა შევატყობინო ეს ამბავი, და ყმაწვილმა ქალმა მართლაც დედას გადასცა ყოველივე.

დედამ შეატყობინა თავის ქმარს, და გადასწყვიტეს, რომ სტუდენტთან ხილიაირმა, მარიანას ძმამ, მოილაპარაკოს.

სადილს უკან ხილიაირმა გასასეირნებლად მიიწვია მდგმური და არსენალის ბაღში წაიყვანა. როდესაც ერთს განცალკევებულს ხეივანში შევიდნენ, ახალგაზდა თოკის დამგრეხი შეევედრა:

— გესმით, ლეონარდ! ძალიან ვსწუხვარ თქვენს უბედურებას. ვწუხვარ, რომ ჩემი და გიყვართ, მაგრამ იმას-კი სხვისკენ მიელტვის გული. ჩემს დას ერთი ახალგაზდა კაცი უყვარს, რომელიც ჩვენთვის ძვირადა ღირს. თუმცა თქვენ ვერ შემოგედრებათ, მაგრამ, ხომ იცით, საცა გული ლაპარაკობს, იქ ანგარიშმა ხმა უნდა გაკმინდოს. ამისათვის კეთილგონიერება მოიხმარეთ და ხელი აიღეთ ჩემის დისაგან, რომელსაც თქვენი სიყვარული არ შეუძლიან. გულის მეგობრად სხვა ამოირჩიეთ...

ამ გონიერის ლაპარაკით ხილიაირმა ვერა შეაგნებინა-რა საეჭვო სტუდენტს.

რასაკვირველია, არ მოეწონა იმისი დარიგება საეჭვო სტუდენტს რომელსაც ხილიაირის ჩათრევაც უნდოდა ამ საქმეში. საჩუქარსა და დიდს პატივს დაჰპირდა, მაგრამ ახალგაზდა ხილიაირი მტკიცედ იდგა თავისს სიტყვას და ბოლოს უპასუხა: „თქვენი ფული საჭირო არ არის. გთხოვთ, დღესვე გადახვიდეთ სხვა სახლშიო“.

ფრონზაკმა უარი უთხრა, ოთახები სამი თვითა მაქვს დაჭერილი და ფულიც წინადვე მომიცია. მე ნებას არ მოგცემთ, რომ პირობა დაარღვიოთო. ეგ იყოს და ეგ, ამის შესახებ აღარაფერი მითხრაო, შესძახა ყმაწვილმა კაცმა, საჩქაროდ გამობრუნდა და წამოვიდა. განცვიფრებული ხილაირი იქვე დაფიქრებული დარჩა.

— მაგიერს გადაგიხდით მაგ გულქვაობისათვის და სერჟანტ მორენსაც მე გავცემ პასუხსა, ჰპუტპუტებდა ჰერცოგი. განა მოსათმენია, რომ ვილაცა თოკის დამგრეხი და სერჟანტი გზაზედ გადამიდგნენ? დიდი ბედენა არ არის, რომ ერთბაშად ამოვწყვიტო ეს ბედნიერები.

მეორე დღეს ხილიაირი სანტ-ესტაშის მოედანზედ მიდიოდა. მხარზე ხელი დაადო პოლიციის კომისარმა და უთხრა:

— ხილიაირ დიუვალ!

— რა გნებავთ?

— მმართებლობის ბძანებით უნდა დაგატუსაღო!

ხილიაირმა გაკვირვებით იკითხა:

— მე ცუდი არა ჩამიდენია-რა და რად უნდა დამატუსაღო?

— ცუდი საქმე ჩაგიდენია, თუ არა, არ ვიცი, მხოლოდ ამ ბძანების ძალით უნდა დაგაპატიმრო და გამამყე, ნულარ იგვიანებ.

ამას შემდეგ წაიწყვანა და ფონბრესკში დაამწყვდია.

ამასთანავე მონტმორანში კორპუსის უფროსს მისწერეს, რომ ჯარის-კაცი მორენი არ დაითხოვოთ და არც მიზეზი გამოუცხადოთ დაუთხოვნელობისაო.

(დასასრული იქნება)

ვისუფლების ტამოჟნის გარდასახადისაგანაო“.

— 10 სექტემბერს გვატემალაში მომხდარს მიწის-ძვრაზე გაზეთები სწერენ: სან-სალვადორის, სან-მიგუელის და იზელკოს ცეცხლის მფრქვეველ მთებიდგან მიწის ძვრის რამდენისამე დღის წინად, კვამლი ამოდიოდა. 9 სექტემბერს, საღამოს 1 საათსა და 55 წუთზედ, საშინლად იძრა მიწა. შეშინებული ხალხი გაიქცა მინდვრებში. მთელი სახლები ჩაინგრა. ახლო-მახლო სოფლები უფრო დაზარალდა. ანალკვიტო, კომაზაგვე, კოიუშეკვე, სანტა-ტეკლა, სან-ჯვედრო და მასახუეზი სულ ერთიანად დაინგრა და განადგურდა.

— ალექსანდრე დიუმას ახალი კომედია დაუწერია, სახელად „La route ol Thébes“. კომედიაში გამოყვანილია ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლების ცხოვრება და ამ ზამთარს პარიჟის „Comédee francaise“ თეატრში იქმნება წარმოდგენილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ივერიის მე-208 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი შესახებ ალ. ყაზბეგისა, რომლის მდგომარეობაც ყოველს ქართველს გულს ატკენს. დღემდის მრავალმა ჩვენგანმა (პროვინციელებმა) არ იცოდა, თუ რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ძვირფასი მწერალი, და არც ის იცოდა, საჭირო იყო მისთვის დახმარება, თუ არა. ჩემის აზრით, სირცხვილიც უნდ იყოს ჩვენთვის, რომ ჩვენი საზოგადო მოღვაწე კაცი თავისს უკანასკნელს დღეებს იქ ლევდეს, სადაც ისინი იმყოფებიან, ვისაც პატრონი არა ჰყავს. ნუ თუ ამოდენა ქართველობას არ შეგვიძლიან, პატრონობა გავუწიოთ ალ. ყაზბეგს?

საავადმყოფოში, როგორც საჭმელი და სასმელი, აგრეთვე ყოველი სხვა რამეც იმდენად რიგიანი ვერ მიეცემათ. ყოველთვის რაღაც წესს უნდა დაემორჩილოს და, მაშასადამე, საავადმყოფო უფრო საპყრობილეს ემსგავსება, ვიდრე თავისუფლად სულის მოსაბრუნებელს ადგილს. ნუ თუ არ იქმნება კარგი, რომ ყოველმა ჩვენგანმა გავიღოთ თითო ოროლა გროში, შეძლებისადა გვარად, ყოველ წლივ, ვიდრე ალ. ყაზბეგი იცოცხლებს და ამ ნაირად პენსია დავუარსოთ ჩვენს ნიჭიერს პოეტს. რამდენად დიდი იქმნება ეს პენსია, ამას შემომწირველთა რიცხვი და მათი უხვობა დაგვანახვებს. შემოწირულის ფულით დავუქირაოთ ერთი ლამაზი ოთახი პოეტს და ერთი მოსამსახურეც მივუჩინოთ; დეე ჩვენმა ნიჭიერმა პოეტმა თავისუფლებაში დალიოს სული და არა საპყრობილეში.

როგორც ფული აგრეთვე თვალ-ყურის გდება მივანდოთ ამორჩეულს კეთილ საიმედო სამს კაცს, ანუ მეტს, და მათ მოახმარონ ფული საჭიროებისამებრ. თუ ვინიცობაა ყოველ წლივ შემოწირულს ფულს, დანახარჯს გარდა, დარჩეს რამე, მაშინ ის დანარჩენი ბანკში იქმნას შეტანილ და ამ გვარად შესაძლოა, იმდენი ფული გადარჩეს, რომ ერთს დროში შევძლოთ კიდეც და ყაზბეგის სახელობაზედ სტიპენდია დავუნიშნოთ ქართველს ღარიბს სტუდენტებს.

მე ჩემის მხრით შეძლებისდა გვარად ვკისრულობ გიგზავნოთ ყოველ წლივ ექვსი მანეთი ყაზბეგისთვის. ეხლავე გიგზავნით 3 მანეთს და თუ ეს ჩემი აზრი თქვენც მოგეწონებათ და კიდევაც განხორციელდება, მაშინ დანარჩენს 3 მანეთსაც თავისს დროზედ გამოგიგზავნით.

ხაშურის რკინის გზის მემაშინე
იოსებ ფანცულია.

## დეპეშა

8 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** დღეს, ნავარას ბრძოლის დღეს, გალერის კუნძულთან ჩაუშვეს ზღვაში ჯავშნიანი გემი „ნავარინ“-ი. გემის სიგრძე სულ 357 ფუტი და 8 დიუიმია. ზედ 26 ზარბაზანი სდგას. „ნავარინ“-ის ჩაშვებას დაესწრნენ: ზღვის სამინისტროს გამგე, წარჩინებულნი ფლოტისანი, უცხო სახელმწიფოების სამხედრო და საზღვო აგენტები, შინაგან საქმეთა მინისტრი; ადმირალთაგანი დაესწრო გენერალ-ადიუტანტი გრაფი გეიდენი პირველი, დამსწრე ნავარას ბრძოლისა. შედლუდი გაუმართა კრეისერმა: „აზია-მ“ და „ვიტიაზ“-მა.

**კოპენჰაგენი.** დანიის მეფე-დედოფალი, პრინცესსა უელისა და სხვა სტუმარნი $^{17}/_{29}$ ოქტომბერს დანციგზე ლივადიაში მიემგზავრებიან. ლივადიაში დანიის მეფე-დედოფალი, მგონი, ერთს თთვეს დარჩებიან.

9 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ბირჟაზე ხელის მოწერით დამშეულთა სასარგებლოდ უკვე 105,000 მანათი შეიკრიბა.

**ბერლინი.** გუშინ შეიკრიბნენ აქ რწმუნებულნი გერმანიისა და სხვა სახელმწიფოების საზოგადოებათა, რათა განიხილონ რუსეთიდგან ევროპაში გადასახლების საქმე.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ოქტომბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 61 | 7, 64 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 152½ | 153 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 236 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 219½ | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 210½ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.


# განცხადებანი

„ქართველთა ამხანაგობის“
წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . 1 მ. 20 კ.
იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . 2 მ. 50 კ.
სამივე ტომი . . . 7 მ.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით . . . 1 მ. 40 კ.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა და ფაქსიმილეთი . . . . „ 80 კ.
იგივე მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი . . . . . . „ 15 კ.
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . „ 30 კ.
იგივე ყდით . . . . „ 75 კ.
სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა . . . . „ 25 კ.
„მარაბდა“ ან. ფურცელაძისა . . . . „ 20 კ.
„წყალობა“—მისივე . „ 20 კ.
„თამარი“ სპარსული ლეგენდა . . . . . „ 10 კ.
„დემონი“ თარგ. ფაზელისა . . . . . „ 15 კ.
„ცდა“ III წ. . . . . „ 50 კ.
საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. „ 30 კ.
საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე. „ 80 კ.
ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთის გამოცემა . „ 30 კ.
იგივე მშვენიერის ყდით „ 80 კ.
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვ. ჰიუგოსი ფრანგულით თარგმ. თ. სახოკიას-მიერ . . . . „ 30 კ.
მაჭმადიანთ ლექსები, დამატებით ზ. ჭიჭინაძისა . . . . . „ 10 კ.
დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . . . . . „ 40 კ.
აქავე ისყიდება „სამი კომედია, აქ. ცაგარელისა „ 60 კ.
„თორნიკე ერისთავი“ აკაკისა . . . . 1 მ. „

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

### სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—24) ქარხანის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

# დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—30)

საზოგადოების საყურადღებოდ

თ ა მ ბ ა ქ ო ს ფ ა ბ რ ი კ ა

# ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

ვთხოვ ყურადღება მიაქციოს პატივცემულმა საზოგადოებამ ეს არის ეხლა მიღებულ ახალის სისტემის ა მ ე რ ი კ უ ლ მ ა შ ი ნ ე ბ ზ ე დ საუკეთესო ფრანგულს ქაღალდზედ გაკეთებულს

გ ი ლ ზ ე ბ ს უ წ ე ბ ო ო დ.

პაპიროსის მხმარებელთ შეუძლიანთ ყოველთვის იქონიონ ასეთის გილზით გაკეთებული პაპიროსი სხვა-და-სხვა ფასისა, რომელიც უკვე დიდ-ძალია მომზადებული გასასყიდად.

ეს არის ეხლა მივიღეთ საუკეთესო ღირსების ახალი

ოსმალეთისა და ადგილობრივი თამბაქო

სხვა ქალაქებიდგან შემონაკვეთს საჩქაროდ ვასრულებთ.
(10—117—8)

# ი ს ყ ი დ ე ბ ა

ტფილისის ძველი წიგნის მაღაზიაში,

## მ. ჯანაშვილის მიერ

დასტამბული წიგნები:

ა) „აღვადგინე“ ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, დამატებით მე IX-X საუკ. „სამეცნიერო ქრისტომატიიდამ“ ამოღებულ „სამკურნალო ტრაქტატისა“ და „სასწავლო წიგნისა,“

ბ) მწერლობა მე IX-X საუკუნისა, რომელშიაც დაბეჭდილია იგივ „სამკურნალო ტრაქტატი“ და „სასწავლო წიგნი“ გამომცემის წინასიტყვაობითურთ

გ) საუნჯე მე X საუკუნისა, ფასი 20 კაპ.

P. S. პირველი წიგნი დაიბეჭდა 300 ცალად, და ცალი ღირს 30 კაპ., ხოლო საუნჯითურთ 40 კაპ., მეორე წიგნი დაისტამბა 100 ცალად, და ცალი ღირს 40 კაპ., საუნჯითურთ აგრეთვე 40 კაპ.—შემოსული ფული გადაედება ფონდად მე IX-X საუკუნის მწერლობის ნიმუშების საბეჭდავად.

# ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**


Дозв. ценз. Тифлисъ, 9-го Октября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.